სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/145

ქ. თბილისი

28 ოქტომბერი 2022 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 12 აგვისტოს N92/ნ ბრძანების შესაბამისად 2022-2023 სასწავლო წელს პრიორიტეტულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე კვოტის განაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, „2022-2023 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 12 აგვისტოს N92/ნ ბრძანების, სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 ოქტომბრის N 01-05-02/33 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 12 აგვისტოს N92/ნ ბრძანებით დამტკიცებული თანხის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პრიორიტეტულ საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამებზე ადგილების რაოდენობა,

N	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ადგილების რაოდენობა
1	მშენებლობა	266
2	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია	214
3	საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა	45
4	სამთო და გეოინჟინერია	55
5	საინჟინრო გეოდეზია	41
6	გეოლოგია	59
7	მეტალურგია	3
8	მასალათმცოდნეობა	6
9	ქიმია	11
10	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია	12
11	გარემოსდაცვითი ინჟინერია	20
12	ტრანსპორტი	33
13	სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია	6
14	მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია	35
15	არქიტექტურა	200
16	ბიოსამედიცინო ინჟინერია	53
17	მათემატიკა	30
18	საინჟინრო ფიზიკა	10
19	მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი	33
20	ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები	37
21	აგრარული ტექნოლოგიები	64
22	სასურსათო ტექნოლოგია	154
23	სატყეო საქმე	63
24	აგროინჟინერია	6
25	მევენახეობა და ენოლოგია	123
26	მეცხოველეობა	21
27	აგრონომია	62
28	ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია	2
29	ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა	9
30	მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი	47
31	მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა	22
32	მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარება	21
	სულ	1763

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისრტაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე